ანტიკორუფციული ბიურო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

03/11/2025

№ 00020753

წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში გაწევრების პირობების შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 და მე-8 მუხლების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 05 აგვისტოს №5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველ აკადემიური წრეების წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა, სსიპ - ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არაუგვიანეს 2025 წლის 24 ნოემბრისა.

0108 თბილისი, გ. ლორთქიფანიძის ქ. N4
info@acb.gov.ge

2. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://acb.gov.ge) 2025 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდეს კომისიაში გაწევრების პირობები დანართის შესაბამისად.
3. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რაჟდენ კუპრაშვილი

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი